ანგარიში

ბაღდათის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული, „მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საბჭო“ სანგარიშო წლის განმავლობში თავის საქმიანობას წარმართავდა წინსწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად. საბჭოს მიერ ორგანიზებული რიგი ღონისძიებები ფინანსდებოდა ადგილობრივი ბიუჯეტით გასაზღვული თანხიდან (გამოყოფილი იყო 10 000 ლარი).

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 იანვრის N 7 განკარგულებით დამტკიცებული იქნა, „ ბაღდათის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა“, რომელიც მოიცავs ორწლიან (2023-2024წწ.) სამუშაო პერიოდს. სამოქმედო **გეგმაში ძირითად მიმართულებებად განისაზღვრა;**

ა) ქალთა საჭიროებებზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება;

ბ) ქალთა ეფექტიანი მონაწილეობის გაზრდა და ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

გ) მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღოფხვრის ხელშეწყობა;

დ) მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების, მათ შორის მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლების, ძალადობის მსხვერპლი ქალების, შშმ პირებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმირებულობის ზრდა-ხელშეწყობა;

ე) ქალთა ეკონომიურად გაძლიერების პროგრამების ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისა და გოგონებისათვის, მათ შორის მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლების, ძალადობის მსხვერპლი ქალების, დევნილი, შშმ პირებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების;

ვ) კორდინაციისა და თანამშრომლობის გაძლიერება გენდერული თანასწორობის საკითხებზე, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე;

ზ) გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმის განხორციებეისა და საჯარო ანგარიშების წარდგენის პროცესის უზრუნველყოფა.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში საბჭოს ინიციატივით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. სოფელ დიმის ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფელი ზედა და ქვედა დიმი და საიმედო) განახორციელდა საგანმანათლებლო პროექტი, რაც ემსახურება ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას. საგანმანათლებლო კურსი მოიცავდა შემდეგ 3 მიმართულებას:

- პოლიმერული თიხის ნაკეთობების შემსწავლელი კურსი;
- ბუღალტრული აღრიცხვის კურსი;
- სტილისტობის შემსწავლელი კურსი;

აღნიშნული კურსები დაიგეგმა ქალთა საჭიროებების კვლევის საფუძველზე, ქალების მოთხოვნილებებიდან გამომდინარე. კვლევა ჩატარდა როგორც ფოკუს ჯგუფების, ასევე ანკეტირების მეთოდოლოგიის გამოყენების გზით. საგანმანათლებლო კურსის დასრულების შემდეგაც ბენეფიციარებმა მონაწილეობა მიიღეს გამოცხადებულ მცირე საგრანტო კონკურსში, საბოლოოდ მოხდა 5 ბენეფიციარის წახალისება და მათთვის ინვენტარის შესყიდვა და გადაცემა. პროექტი დაიწყო 2022 წლის ნომერბის თვეში და დასრულდა 2023 წლის აპრილში. პროექტი განხორციელდა კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდ სოხუმის თანადაფინასებითა და ხელშეწყობით.
2.ბაღდათის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში გამართულ შემაჯამებელ ღონისძიებაზე მოწვეულ ყოფილ ღვაწლმოსილ ბიბლიოთეკარებს (ჯამში 10 ქალი), გადაეცათ მცირე ფულადი ჯილდო.

3.მხიარულთა და საზრიანთა შიდა სასკოლო ჩემპიონატში მონაწილე გოგონების მოტივაციის ამაღლებისა და წახალისების მიზნით, გამოვლინდა ორი საუკეთესო გოგო მონაწილე და გადაეცა ფულადი ჯილდო.

4. .გასული წლის 1 ივნისს სოფელ საკრაულასა და ზეგანში მცხოვრები ბავშვებისათვის დაიგეგმა თოჯინებისა და ფორუმ თეატრის ჩვენება, აღნიშნული ღონისძიების დასრულების შემდეგმ მოხდა იქ მყოფი პატარების ტკბილეულით გამასპინძლება. სპექტაკლის სცენარის შინაარსი ბავშვების ასაკის გათვალისწინებით გენდერულ თემატიკასა და ტოლერანტობის საკითხებს ითვალისწინებდა. სპექტაკლი ჩატარდა ფონდ ,,სოხუმთან“ არსებული თოჯინების თეატრის მიერ, თეატრის მსახიობებს შორის იყვნენ ,,sos ბავშთა სოფლის“ აღსაზრდელები.

5.მიმდინარე წლის 3 მარტს დედის დღესთან დაკავშირებით, ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ომში დაღუპულების დედებს სიმბოლურად გადაეცათ ტკბილეულის პაკეტები და თაიგულები.

6.საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეა) მხარდაჭერით, გასულ წელს ბაღდათის მუნიციაპლიტეტი ,,ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ'' ევროპულ ქარტიას შეუერთდა.

7.სოფელ ფერსათში მინაძეების მარანში აღინიშნა სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღე. სოფლად მცხოვრები ქალების დღე გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2008 წლიდან აღინიშნება და აღიარებს სოფლად მცხოვრები ქალების წვლილს ადგილობრივ განვითარებასა და სოფლის მეურნეობაში.

8.ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში მოიხატა კოსტავას N2 _ში მდებარე კორპუსის ფასადი. ნახატი შინაარსობრივად ეხება გენდერულ თანასწორობას. ამავე კამპანიის ფარგლებში ადგილობრი მორაგბეთა კლუბ ,,დიმნასთან ერთად ჩატარადა ცნობიერების ამაღლების აქცია სლოგანით ,,იცხოვრე ძალადობის გარეშე“

9.გენდერული საბჭოსა და საკრებულოს წევრი ქალი მონაწილეობას იღებდა ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ ორგანიზებულ კონკურსში თემაზე გენდერული ბიუჯეტირება. აღნიშნულ კონკურსის წარმატებით გავლის შემდეგ, შესაძლებელია მისი, როგორც ტრენერის მხრიდან, პროფესიულ საჯარო მოხლეების ინფორმირება გენდერული ბიუჯეტირების საკითხებზე.

10.გენდერული საბჭოს მდივანი კარგი პრაქტიკების გაზიარების მიზნით, ადგილობრივ თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის მიერ გამართულ შეხვედრაში იღებდა მონაწილეობას, სადაც დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია გენდერული საბჭოს მიერ განხორციელებეული საგანმანათლებლო პორეტის , როგორც ერთ-ერთი კარგი პრაქტიკის შესახებ.

11.გენდერული საბჭოს ინიციატით საპატიო ბაღდათელის სტატუსი მიენიჭა კინოსა და თეატრი მსახიობს - ზანდა იოსელიანს.

მიმდინარე წელს საბჭო აქტიურად გაარძელებს მუშაობას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა საკითხების განსახორციელებლად.